საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-413

16/05/2019

ქ. თბილისი

ზუგდიდის რაიონში სოფ. ცაიშში ფ/პ გიორგი ზაქარაიას სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფიზიკური პირის გიორგი ზაქარაიას მიერ, გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშში სასათბურე მეურნეობისთვის სარწყავი სისტემის მოწყობის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სასათბურე მეურნეობა მდებარეობს ზუგდიდის რაიონ სოფ. ცაიშში ფ/პ გიორგი ზაქარაიას საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე. (საკადასტრო კოდი: 43.20.42.447).

პროექტი ითვალისწინებს მდ. ჯუმიდან წყლის აღებას და სათბურის მიმართულებით 30 მმ დიამეტრის და 105 მ. სიგრძის მილის გაყვანას, რომელიც ჩადებული იქნება მიწაში 30 სანტიმეტრის სიღრმეში და უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას 1ტ. ტევადობის რეზერვუარისთვის, საიდანაც მოხდება მცენარეების მორწყვა. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები: X- 731056; Y- 4701055. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო წყალაღების ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი მდებარეობს 140 მეტრში.

წყალაღებისთვის გამოყენებული იქნება ელექტრო ტუმბო. ტუმბოს სიმძლავრეა 1.5 $მ^3$/სთ. წელიწადში გამოყენებული წყლის რაოდენობა არ აღემატება 360 $მ^3$-ს.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე მილის პარამეტრების და 30 სმ თხრილის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნიადაგის საფარზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის. ვინაიდან სამუშაოს პროცესში არაა გათვალისწინებული სპეცტექნიკის გამოყენება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ნიადაგის დაბინძურება საწვავით და ასევე, საზეთ-საპოხი მასალებით, სავარაუდოდ ადგილი არ იქნება მიწისა და გრუნტის წყლებზე რაიმე სახის ზემოქმედებას. პროცესში არ იგეგმება სამშენებლო ბანაკის მოწყობა.

ტუმბოს მუშაობის რეჟიმისა და მოსაპოვებელი წყლის რაოდენობის გათვალისწინებით, იქთიოფაუნაზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობის პროცესში ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების გაფრქვევას ადგილი არ ექნება. ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს

ელექტრო ტუმბო, რომლის სიმძლავრის და მისი განთავსების ადგილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის გათვალისწინებით (140 მეტრი) ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სამუშაოს სპეციფიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკი არ არსებობს.

სკრინინგის განცხადების თანახმად საპროექტო ზონის სიახლოვეს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ აღინიშნება.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, სარწყავის (სამელიორაციო სისტემის) მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფ. ცაიშში ფ/პ გიორგი ზაქარაიას სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ გიორგი ზაქარაია ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ გიორგი ზაქარაიას ;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ გიორგი ზაქარაიას მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი